სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 7 მაისი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდეგ ნაწილნაწილ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტით 20 კ., 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 74 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 74

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო-თეატრი „რადიუმი"

ხუთშაბათიდან, 7 მაისიდან, ახალი დიადი პროგრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

რუსული სამხედრო ქრონიკა

სკოგელევის კომიტეტისა სენსაცია. ძმ. პატე!

მისი აღმატებულება განცხრომაშია.

დიდებული კომედია ფარსი 3 ნაწილათ. გამოჩენილი კომიკ მსახიობის, **სოკოლსკას**, მონაწილეობით. კარგათ ნათამაშევი ამ სურათის სანახავობა მაყურებლებში იწვევს დაუცხრომელ სიცილ-ხარხას. მისი აღმატებულების როლს შეასრულებს **სოკოლსკი**. პროგრამის გარეშე. შურის ძიება გარიყულისა ძლიერი საყურადღებო დრამა.

დასაწყისი საღამოს 6½ საათზე.

ფოთის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 12 მაისს 1915 წ., ნაშუადღევის 12 საათზე, ფოთის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლათ გაიყიდება

ორთქლის ორი სწრაფმავალი მანქანა კომპაუნდი,

რომელ ც გაკეთებულია ლინკოლნში რობეისა და ამხანაგობის ქარხანაში; თითოეული მანქანა 48 ეფექტიან ძალისაა, ორთქლის სიმძიმე უდრის 150 ფ. ერთ კვად. დიუმზე.

წყლის მილიანი ორი ქვაბი შუხოვის სისტემისა.

გაკეთებულია მოსკოვში ბერის ქარხანაში. თითოეული 540 კვ. ფ. სითბოს ზედაპარით, ყველა საჭირო არმატურითა და გარნიტურით. მანქანები და ქვაბები არის ფოთის ნავსადგურში, რკინის გზის ლიანდაგის ახლოს ქალაქის საელეკტრონო ძველ სადგურში, სადაც შეიძლება მათი ნახვა თვითმართველობის ნებართვით დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 3—3

იყიდება ქ. ქუთაისში, **საშუალო ფირმის მაღაზია** აზოვის ბანკის განყოფილების ქვედა სართულში ელიგულაშვილის მამულში მეორე №. **მაღაზია შესაფერათ გაწყობილია ფართლით:** შალეული, აბრეშუმეული, ბამბეულითა და შეკრული პალტოებით. მყიდველს შეუძლია შეშუდი გაადიდოს და აწარმოოს მაღაზია. მსურველს შეუძლია მარტო ფართლეულიც **იყიდოს და წაიღოს**, მხოლოდ ერთად. ფართალი შეძენილია ომის დაწყებამდი და დღევანდელს ფასზე 30% ნაკლებ დაჯდება. 5—5—186.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

ფასი ყდით 2 აბაზი. თვ.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисскій отдѣлъ по квартирному довольствію войскъ

вызываетъ 15-го мая сего года въ 12 часовъ дня желающихъ принять на себя подрядъ по соревнованію изустному и посредствомъ запечатанныхъ объявленій производства постройки бараковъ для больныхъ на суммы: 1) въ гор. Кутаисѣ 20.213 руб., 2) въ мѣст. Сурамѣ 12.864 руб., 3) въ гор. Сухумѣ 1862 руб. и 4) въ гор. Поти 2512 рублей.

Для участія въ соревнованіи необходимо представить паспортъ и залогъ денежный 15% или имущественный 20%.

Подробныя условія и смѣты можно видѣть ежедневно въ отдѣлѣ въ дни занятій. 3—1

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის **გასუდი წლების მსგავსად წელსაც ხ. ხრისტოდულიდის მიუცდებელ საჭიროდ ვცნით, რომ** თესლის **მეადგილენი მეაბრეშუმენი** არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი"**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი"**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი"** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის"** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის"**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის **სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება** უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—**რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს.** თ.

თესლის გაყიდვა გაქელდება.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშმიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის ბარდაპარ № 6. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელეკტროლეჩნისა და სინათლის **კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კაბინეთი მასსაჟის და საქიმო ვარჯიშობისა. მასსაჟისტკა **მ. ტ. ბალანჩივაძისა** ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს მოწყობილი **ოლთქლის ვანა**, რომელიც სჭობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ხაკეცებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასახიჩრებულ სახეს, ამასთანავე ვარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. **ავრეთვე ეუცრი ეავეილს.** ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი ადგილზე გაიგება. მისამართი: გენერლის ქუჩა, დორთქიფანიძის სახლი. თ.

დ. ყვირილაში.

სტუდენტი

ვარლამ ფერაძე

(9 წ. პრაქტიკით) პირველ მაისიდან **ვამზადებ** მოწაფეებს, ქალებს და ვაჟებს, ყველა საგნებში **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლების კლასებისათვის. აგრეთვე სიმწერწმ. აფთიაქის მოწაფეებს, მასწავლებლებს, 1 კლ. ჩინზე და სხ.

მისამართი: ყვირილა, პირველ-დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ახლოს, დათა ყუბარაძის სახლი. 14—6—187

კბილის მეძიმეები

მენაღარიშვილი & ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლთა ყველა კლასისათვის, და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის სახლთან. თ. უ.

გამოცდილი რუსი ქალი მასწავლებელი

სპეციალისტი **რუსულისა** და **მატემატიკის** საგნებში ამზადებს ეგზამენებისთვის და ხელმეორე გამოცდებისთვის მოსწავლე ქალებსა და ვაჟებს ყველა კლასისთვის. მისამართი: ივანოვის ქუჩა, გაბუნიას სახლი. 4—2

ომი

პეტროგრადის დეპ. საგენტოსგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 5 მაისი. სამხედრო უწყების ცნობა. ლიბავის ნაპირებთან მტრის ფლოტი ან ტრანსპორტი არ შეგვინიშნავს. შავლის რაიონში მწვავე ბრძოლაა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 მეტი და დიდძალი სამხედრო სურსათი. მდ. დუბისაზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ ვითარდება. ჩვენ დავიკავეთ ბოტიგოლა. უეშში შავლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარი ისვენებდა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განსაკუთრებით ურიებმა ჩვენი ჯარი გასცეს. როდესაც გერმანელთა ჯარი შემოვიდა, ურიებმა ისინი სარდაფებში დამალეს, შემდეგ უეის ცეცხლი წაუკიდეს ყველა მხრიდან. ჩვენი პოლკის კომანდირს არ უნდოდა მტრის ხელში ჩავარდნა და პოლკის ბაირაღი დასწვა. პოლკოვნიკი მტერმა მოკლა. ამასობაში ჩვენი მაშველი ჯარიც მოვიდა და მტერი ქალაქიდან გადევნა. ყველა ვინც კი ჩაიდინა ეს საზიზღარი საქციელი სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცა. ოსოვეცის რაიონში ჩვენი არტილერია მტრის ავტომობილისტთა რაზმს მარჯვეთ ესროდა.

პეტროგრადი. 6 მაისი. მთავარსარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში მტერს ვავიწროებთ. ნემანსა და ვერეტოლოვოს რკინის გზის რაიონში ჩვენი ჯარი მტერს შეებრძოლა. ოპატოვსა და ვისლის მარცხენა ნაპირს შუა და მთელ გალიციის ფრონტზე კოლომეიას მიდამოებამდე, მტერმა დიდის ძალებით იერიში მოიტანა. მტრის უმთავრესი მიზანია პერემიშლის რაიონი, სამხრეთით და ჩრდილოეთით პერემიშლიდან. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენ იერიშიც მოვიგერიეთ და ტყვეთ 3000 კაციც წამოვიყვანეთ. იაროსლავთან გერმანელები სცდილობენ სანის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებას. პერემიშლთან

სასტიკი არტილერიის ბრძოლაა. მტერს იერიშები მოაქ დასავლეთ ფორტებზე. მტერმა შესძლო ჩვენი თხრილების დაკავება პერემიშლსა და დნესტრის ჭაობებს შუა. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები დროლობიჩის, სტარის, ველიჩკოს რაიონში. მტრის ზარალი უდრის რამდენიმე ათი ათასს კაცს.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 5 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან, ოლთისის გეზით ოსმალონი დავამარცხეთ სოფ. სორთან და გავდევნეთ არჯიშისკენ, დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 4 მაისი. ბელგიაში ჩვენი მოქმედების განვითარებით მტერს თავდავლით ვემუქრებოდით, ამის გამო გუშინ ღამით მტერმა გასწმინდა უკანასკნელი პოზიციები იზერის არხის დასავლეთით. ჩვენ კი შევინარჩუნეთ მთელი ადგილი არხის აღმოსავლეთის ნაპირზე. ლაბასეს ჩრდილოეთით ინგლისელები წარმატებით იბრძოდენ და ორშაბათს აიღეს მტრის რამდენიმე სანგარი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ინგლისელებმა ტყვეთ წამოიყვანეს ათასამდე კაცი და წამოიღეს რამდენიმე ტყვიისმტყორცნელი. არასის ჩრდილოეთით მთელი დღე ნისლი იდგა. ამის გამო რამე სერიოზული მოქმედება შეუძლებელი იყო. სასტიკი ბრძოლა გრძელდება ნოტრდამდელორეტის ფერდობზე. აქ ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ყველა იერიშები. ვილაბუასთან ბერიობაკის მახლობლათ მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ მყისვე მოვიგერიეთ. ტყვეთა რიცხვი უდრის 350 კაცს. აიის ტყეში ჩვენ იერიში მივიტანეთ, ავღეთ მტრის რამდენიმე თხრილი და 3 ტყვიისმტყორცნელი ვიხელეთეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 250 კაცი, მათ შორის რამდენიმე აფიცერი.

ცეპელინების მოქმედება.

კალე. 4 მაისი. ცეპელინისაგან ჩამოგდებული ყუმბარებით ქალაქში დაზიანდა ერთი მოხუცი ქალი და სამი ბავში.

პარიზი. 4 მაისი. ნევიტსენვაასტთან ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ბრძოლას მეტათ მკაცრი ხასიათი ქონდა. ექვსი დღის განმავლობაში ჩვენ წამოვიყვანეთ 2000 ჯარისკაცი და 40 აფიცერი, შვიდი ზარბაზანი, 30 ტყვიისმტყორცნელი და დიდძალი სამხედრო სურსათი.

ლონდონი. 4 მაისი. პირველი არმია რიმპურგისა და ლავის სამხრეთით წარმატებით მოქმედებდა. ჩვენ დავიკავეთ მტრის ყველა სანგრები ორი მილის ფრონტზე. დღეს დილით გერმანელთა რამდენიმე მცირე რაზმი თავისი ნებით დაგვნებდა. ტყვეთა რიცხვი ჯერ არ გამორკვეულა, ჯერჯერობით გავგზავნეთ მხოლოთ 500 კაცი.

პარიზი. ბელგიაში გეტზაასის რაიონში ჩვენ წინ მივიწევთ. გუშინ საღამოთი ავიტეთ ერთი გამაგრებული შენობა. იზერის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავლახეთ გერმანელთა პირველი ხაზი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 145 კაცი და ვიხელეთეთ 4 ტყვიის მტყორცნელი. არასის ჩრდილოეთით გამუდებითი წვიმების გამო ცვლილება არ მომხდარა, გარდა არტილერიის სასტიკი ბრძოლისა.

დარდანელი.

ათანა. 3 მაისი. გალიპოლის ნახევარკუნძულზე მოკავშირენი წინ მიიწევენ კილიდბახრის სიმაღლეებისაკენ. ოსმალოთ მაშველი ჯარი მოსდით მცირე აზიიდგან, მოკავშირეებს კი ალჟირიდგან.

ცეპელინები ინგლისში.

ლონდონი. 5 მაისი. ღამით რამსტეტში ცეპელინებმა 30 ყუმბარა ჩამოყარა დაინგრა სასტუმრო და დაიჭრა სამი ადამიანი. იგივე ცეპელინი გადაფრინდა მარგეტ, ბროდსტერ ფოლკესტონზე, მაგრამ ყუმბარები არ ჩამოუყრია. შემდეგ გადაუარა დოვერს და ზღვისკენ გაფრინდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის განზრახვა.

„ლუზიტანიის“ დაღუპვის შემდეგ ამერიკულმა გაზეთებმა გამოსთქვეს აზრი, რომ გერმანიას სურს თავისი ავადმყოფი გამოსვლით შეერთებული შტატები ომში ჩარიოსო.

ამის შესახებ, ნიუორკ ცერალდს მოყავს ამერიკელ ფინანსისტის საუბარი გერმანელ აფიცერთან. ეს ფინანსისტი ერთი თვის წინ ოსმალეთში ყოფილა. გერმანელ აფიცერს უთქვამს ფინანსისტისთვის შემდეგი: ამერიკას სურს ნეიტრალური დარჩეს, მაგრამ ჩვენ მას ვაიძულებთ, რომ ომში ჩაერიოსო. ომის დასრულების შემდეგ მებრძოლი სახელმწიფოები, დამარცხებულები, თუ გამარჯვებულები, ეკონომიურათ განადგურებული იქნებიან. და თუ ამერიკა ამ ომის გარეშე დარჩა, მაშინ მთელი ქვნყნიერების ვაჭრობა მის ხელში ჩავარდება. ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო მისი მეტოქე ვერ გახდება. როგორც მოპირდაპირე მტრის, ჩვენ ამერიკის არ გვეშინია, თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ მან ჩვენს წინააღმდეგ 50—100 სამხედრო გემით გამოიალაშქროს. ამერიკას არ შეუძლია მთელი თავისი სამხედრო ძალა ჩვენს წინააღმდეგ დააყენოს, ხოლო ნაწილი ამ ძალისა კი ჩვენ თვით უმნიშვნელო იქნება და ვერ გახდება შესამჩნევ ფაკტორათ ოპერაციების შედეგებისათვის. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ამერიკის დასუსტება ეკონომიურისა და მრეწველობის მხრით. რომ გერმანიას სურს ამერიკის ომში ჩარევა, ამ აზრს ამერიკის სხვილი ბანკირებიც იზიარებენ.

ინგლისელების პროტესტი.

„ლუზიტანიი“-ს დაღუპვამ მთელი ინგლისის მცხოვრებლები ააღელვა. ლონდონში გერმანელ ყასბებსა და ხელოსნებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბირჟამ წინადადება მისცა გერმანელებს დასტოვონ კრების დარბაზი. ბევრ გერმანელზე თავდასხმაც მოხდა. პურის ბირჟებმა ლონდონში, მანჩესტერში, ლივერპულში და ლიდსში გერმანელები თავისი წევრობიდან გამორიცხეს. ბრიტანეთის კოლუმბიაში გერმანელების წინააღმდეგ სერიოზული ამბოხება დაიწყო, რამაც სამხედრო წესების გამოცხადება გამოიწვია.

იტალიის გადაწყვეტილების მოლოდინში.

„ჟურნალ დე ჟენევეს“ რომის კორესპონდენტი ატყობინებს დეპეშით, რომ იტალიამ ომში ჩარევა საბოლოოთ გადასწყვიტა და მთავრობა ამ ახლომომავალში ამ გადაწყვეტილებას უკვე გაახორციელებსო. შვიდ მაისს შეიკრიბება პარლამენტი და თავის სანკციას მისცემს ამ შესრულებულ ფაკტს. ავსტრიის უკანასკნელი დათმობანი იტალიას ვერ აკმაყოფილებსო. სხვა კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მდგომარეობა შეიცვალა ჯიოლიტის ენერგიული გამოსვლის შემდეგ. გადმოგვცემენ, ვითომც მინისტრებათ ნამყოფებმა ლუცატიმ, ბერტლინმა და რაინერმა მოახერხეს პარლამენტში შეედგინათ ნეიტრალობის მომხრე ძლიერი ჯგუფიო.

———

გერმანიას კვლავ იმედი აქვს საქმის სასურველათ გადაწყვეტისა, რადგანაც ამის მომხრეა იტალიის მეფე და ჯიოლიტიმ კვლავ განაახლა თავისი ცდა. უკანასკნელის ლეიბორგანო „სტამპა“ სწერს, რომ ჯიოლიტის წინანდებურათ ღრმათ სწამს ავსტრიასთან შეთანხმებით მორიგება. მეფემ მოისმინა ჯიოლიტის აზრი, და მოიწვია მინისტრთა საბჭო ჯიოლიტის მოსაზრებების განსახილველათ. „სტამპა“ აცხადებს, რომ ყველა ხმა, ვითომც იტალია მორიგებოდეს სამთა შეთანხმებას სიმართლეს მოკლებულიაო. იტალიას ჯერ კიდევ შეუძლია და დროც აქვს აირჩიოს ან ომი ან მშვიდობიანობაო.

მიუხედავათ ამისა გერმანიის პრესა მდგომარეობას სერიოზულათ სთვლის.

ფიოს დიადი ამაგის გამო.

„იესო ქრისტესა, განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები, მათ უმანკოების, ალალ-მართლიანობის და გულ-კეთილობისთვის.“

რა ჩინებული რამ არის სახე შიო მღვიმელისა. დასჩერებიხართ მის სურათს და თქვენ თვალწინ გიდგებათ რაღაც სპეტაკი, უმანკო სახე მშვენიერის ადამიანისა, მართლაც რომ გულის სარკე ყოფილა სახე.

— აბა, ჩაუკვირდით მას რამდენ საიდუმლოებას ამოიკითხავთ მის სახეში? მაგრამ ამ სპეტაკ გამომეტყველებასთან თქვენ მის სახეზე ამოიკითხავთ, რაღაც იდუმალ ტანჯვას შეერთებულს მწუხარებასთან და თქვენც მისი შემხედვარე, აღტაცებული მისი სახით, გრძნობთ, რომ ეს სპეტაკი არსება მოუცავს მწარე ფიქრებს ჩვენის დღევანდელი ყოფა-ცხოვრებით გამოწვეულს.

„ტანჯვა ვიჩივლო დედისა,
თუ კვნესა ძმა მკვდარ ქალისა“?

შესჩივის ის „ცას დედას მზეს და მთვარისას“ და თანაც მწუხარებით ევედრება მას.

„შესწყვიტე სისხლის წვიმები
ხმალიც დალეწე ფარიცა
კვლავ სიყვარულზე ამღერე
აწყმყოც და მომავალიცა“

სწორედ რომ ასეთ მწუხარებით და ვედრებით არის თითქოს შეზავებული შიოს პიროვნება, მაგრამ დარე, რომ მისმა გრძნობიარე გულმა მონახა ბინა მომავალ თაობაში—ბავშვებში, დაუმეგობრდა მათ, მათზე დაამყარა მთელი თვისი იმედები, მათში ნახა გვირგვინი მომავალის ჩვენის ცხოვრებისა და მათი გულის მესაიდუმლეც გახდა. სწორედ რომ არა ჩვეულებრივი და სიმპატიურია გზა, რომელზედაც დაადგა ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი.

ის დრო გაქრაო— ამბობს ილია, როს „ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ და თუმცა „დიდმა ნაღველმა კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედსა“ მათ სიცოცხლე გამოულიათ, მაგრამ მათ მაგიერ დღეს ცხოვრების ცვალებადმა ტალღამ ამოხეთქა მშვენიერი მასწავლებლები, შესანიშნავი აღმზრდელები და მათ შორის შიოც.

აბა წაიკითხეთ მისი ლექსი: „ჯაბალ“ როგორის მზრუნველობითი აღსავსე კილოთი არიგებს ბავშვებს—როგორს გულ-კეთილობით უნერგავს გულში პატარებს შრომის მოყვარეობას, რათა ამით მომავალს გამოადგენ?! ან თუგინდ ლექსი „ონავარი“—როგორ იმედს გამოსთქვამს ცუღლუტ ბავშზე:

„ჯერ ბავშია, პატარა,
როდესაც გაიზრდება
თავის სიცელქისა
თვითვე დაერიდება“.

ან თუგინდ ის ადგილი მის ლექსებში, სადაც ახალი წელი შიოს პირით ემუსაიფება ბავშებს:

„ყმებო! კარგის სურვილებით,
თუ გულწრფელად დამიხვდებით
მეც მოვიგებ, თქვენც მოიგებთ
არც წამახდენთ, არც წახდებით
. . . . . .
ახალგაზდა სტუმარი ვარ,
ანგელოზის მომაქვს კვალი
და მწამს ტკბილად გამისტუმრებს
თქვენი კარგი მომავალი“.

და სხვა რამდენი ტკბილი მუსაიფი შიოსი ბავშებთან.

სიამოვნებით და მოუთმენლად შლი „ჯეჯილის“ ფურცლებს; იცი, რომ იქ, პირველ ადგილზე შიოს ტკბილი ენა, ბავშებთან მოუბარი დაგიხვდება, რომლის წაკითხვასაც ბავში აღტაცებით და მოუთმენლად ეწაფვის. არიან სხვა ბავშების მწერლებიც, მაგრამ ისე მძლავრად სხვას ვერ ჩაუჭიდებია ხელი ბავშის ბუნებასთან, ისე დანამდვილებით ვერ შეუსწავლია მისი სულის კუნჭულები, ისე არ დაახლოვებია და გაუცვნია ბავშის ბუნება, როგორც შიოს. დიახ! თითოეული მისი ლექსი ქართველი ბავშის ბუნებისთვის არის შექმნილი მისი ლექსის წაკითხვის დროს თითოეული ქართველი ბავში თითქოს თავის მახლობელ ბავშს, ან თავის თავს ხედავს შიგ და რა ჩაიტიტინებს ამ პატარა ლექს, სიამოვნების ღიმი გადაჰკრავს ხოლმე და ცდილობს რაც შეიძლება მალე გადასცეს მშობლებს წაკითხული და გაუზიაროს ცელქ ამხანაგების მოქმედებასთან გამოწვეული შთაბეჭდილებანი.

სწორედ ძლიერ უყვარს შიოს ბავშები, ბავშებიც ეტანებიან მას, როგორც მეტად ტკბილსა და მოსიყვარულე მამას. უყვართ მათ და ძლიერადაც.

მაგრამ აქ უნიბლიედ საკითხი გებადება: ეს ბავშვობა, ეს ბავშვობა, ეს ბავშვობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა; რით უნდა გადაუხადონ მაგიერი ბავშებმა შიოს? და აბა რით უნდა გამოსთქვან თავიანთი სიყვარული და პატივისცემა სულიერ მამისადმი.

ღღეს ეძლევათ მათ შემთხვევა გამოსთქვან თავიანთი ამდონიხნის დამალული სიყვარული, მაგრამ რა შეუძლიათ მათ, თუ ამაში კიდევ ვინმე შიოსავით გულშემატკივარი არ გამოუჩნდათ? და მე მგონი, რომ ასეთ გულშემატკივარს თითოეული ბავში ნახულობს მეორე აღმზრდელ—დედაში და აბა რა დარჩენიათ მის მეტი, რომ უცადონ დედებს, აბა როდის მოაგონდებათ მათი ვალი მათი შვილების მუშაკის წინაშე, მაგრამ ლოდინი ლოდინადვე რჩება და ნაყოფიკი არსაიდანა სჩანს.

ამიტომ მივმართავ ქუთაისის ქალებს და კერძოდ არსებულ ქალთა საზოგადოებასაც (რომლებსაც ღღეს დიდ იმედებს ვამყარებთ), რომ ნუ ჩაატარებენ უპატივცემულოდ ოცდა ათი წლის ღვაწლს შიოსას და შესაფერისის პატივით აღნიშნავენ ღვაწლს, მის მოღვაწეობას. ამ მიზნის მისაღწევათ სასურველია გამართონ ბავშების დილა, სადაც ბავშებს შეასწავლიან პატარა სიმღერებს, ლექსებს შიოსას, რომლებიც ისე უხვად არიან გაბნეული „ჯეჯილის“ ფურცლებზე, დადგან მათივე ცხოვრებიდან პატარა პიესა, მით უმეტეს რომ ეს პატარა ბავშების დილა ბევრს რასმეს შემატებს ჩვენს მომავალ გვირგვინებს, აუფერადებს მათ გრძნობებს, ფანტაზიას მათსას გააღრმავებს, მათ გონებას გააფხიზლებს, რომ შემდგომ უფრო ღრმად გაიცნონ და შესაფერი პატივი დასდონ შიოსთანა აღმზრდელებს.

ბ. მჭ—ძას ასული.

სამგლოვიარო წერილი.

(ნიკო ლომოურის ხსოვნას).

„სამშობლო ჩემო! ბედი არა გაქვს,
მუდამ ცრემლში ხარ გამოხვეული
და აჰა დღესაც კვლავ დაწურე
შენს ღირსეულ შვილს ტანჯული გული“.

აი ეს სულის ამკვნესებელი და დამაღონებელი სიტყვები აღმოხდა გულის სიღრმიდან ჩვენ მგოსანს იროდიონ ევდოშვილს ამ ორიოდე წლის წინათ, როცა სამშობლო მხარემ დაკარგა თავისი ღირსეული შვილი, დაჩაგრულ ერისა და წელში გატეხილ მშრომელი ხალხის მედგარი და შეუპოვარი დამცველი არჩილ ჯორჯაძე...

თითქმის ეს სიტყვებივე გვიხდება გავიმეოროთ ღღეს; თითქმის ამ სიტყვებითვი უნდა მივმართოთ ახლაც წამებულ

სამშობლოს, მარად მგლოვიარესა და მარად შავი ძაღებით შემოსილს, რომელმაც კვლავ დაჰკარგა ერთი მისი ღირსეული შვილთაგანი, დაუღალავი მუშაკი ნ. ლომოური. თითქოს უპირო სიკვდილის შავი აჩრდილი ვერ ხედავდეს რამდენ ენერგიით, ძალღონითა და სიცოცხლით სავსე შვილებს სხვერპლათ სწირავს პატარა საქართველო თანამედროვე ვაება ომის შავათ გადაშლილ ბრძოლის მოედანზე... თითქოს უსახო სიკვდილს არ ახსოვდეს, თუ როგორი გამოუთქმელი სევდა და მწუხარება მიაყენა ქართველ ხალხს ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი პოეზიის უდიდესი ქურუმი, ერის სულიერ კულტურის გამამშვენიერებელი და განმასპეტაკებელი მგოსანი—მამა, თითქოს შავ სიკვდილს არ ეგრძნოს, რომ ამ თვე ნახევრის წინათ მიწის გაუციებელ კალთებს ამოვაფარეთ ჩვენი უბადრუკ ცხოვრების უმწიკვლო სხვერპლი დეპ ვ. გელოვანი, რომელიც ენერგიულათ იცავდა დაჩაგრულ ერებისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში; თითქოს ყოველივე ეს დავიწყებიაო, ღღესაც მედგრათ გაუშლია თავისი შემაძრწუნებელი ფრთები, დაძრწის სამშობლოს სევდითა და გლოვით მოცულ მხარეებში და ხელიდან გვტაცებს ჩვენი ერის ინტერესების ენერგიულ დამცველებს, მის ერთგულსა და შეუდარებელ დარაჯებს...

ნიკო ლომოური, რომელიც იმ თვის 17-ს უმწიკვლო სხვერპლი შეიქმნა მუხთალი ბედისწერისა, ერთი უმშვენიერესი და უძვირფასესი დაუღალავი მუშაკთაგანი იყო, რომელიც მშობელი ერის გამოღვიძებისა, გამრთელებისა და აღორძინებისათვის არ ზოგავდა არავითარ ძალღონეს, ღვთით ნაბოძებ ნიჭს... მისი გამჭრიახი და შორს-მხედველი გონება ყოველთვის თავს დასტრიალებდა ჩვენი მშრომელი ხალხის—გლეხების ცხოვრებას და მათ ბედსა და უბედობას, ტანჯვასა და სიმხიარულეს მათ გაჭირვებულ ყოფაცხოვრებას მხატვრულ ფერადებით გვისურათებდა... ნიკოს „ყოველი მხრიდან“ ერთი მშვენიერი მოთხრობათაგანია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში, სადაც მხატვრული ფერადებით არის დასურათებული „ყოველი მხრიდან“ დაჩაგრული გლეხის მდგომარეობა; აქ თვით ბუნენება დაუნდობელ სტიქიათ იქცევა, რომ ჩანთქას და დააქციოს საწყალი მშრომელი კაცის ოხვრითა და ტანჯვით გამზადებული სარჩო.

ნიკო მშრომელი ხალხის გულის მესაი-

დუმლე იყო ჩვენს ლიტერატურაში, მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებების მშვენიერი დამცველი. და იგი ასეთივე დარჩება მარადის ჩვენთვის...

მაშ, განისვენე მშვიდათ ტკბილო მწერალო. გწამდეს, რომ ხალხი თავის ღირსეულ მოამაგისა და დამცველის სახელს უმწიკვლოთ ინახავს თავის მგრძნებარე გულის სიღრმეში...

ს. ნ.—დიონი.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსების საგანგებო გამოცემა.

კნ. ეკატერინე მიხეილის ასულის ერისთავის მიერ მოწვეული კომისია **ნ. ბარათაშვილის ლექსების** საიუბილეო საგანგებო გამოცემისთვის სთხოვს, ყველას, გისაც მოეპოება რაიმე წერილი, სურათი, ან სხვა საბუთი პოეტის ნ. ბარათაშვილის და მისი დროის შესახებ, ათხოვოს მას დროებით ასლის გადასაღებათ.

კომისია სთხოვს აგრეთვე ყველას, მიგვითითონ, თუ სადმე ეგულებათ საჭირო საბუთები, და დაგვისახელონ ნ. ბარათაშვილის დროინდელი პირები, რომელთაც შეუძლიათ სიტყვიერად გადმოგვცენ ცნობები პოეტის ცხოვრების შესახებ.

მისამართი: თფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია. სამსონ ფირცხალავას.

ნ. ბარათაშვილის ლექსების სარედაქციო კომისია.

ვთხოვთ ქართულ ჟურნალ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა პოტულოვმა ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ნება დართო გახსნას სოფ. შროშაში (შორაპნის მაზრა) უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო ენუქ ალფეზის ძე ჩიხლაძის პასუხისმგებლობით.

✦ ღღეს, 7 მაის, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ქართულ დრამატიული საზოგადოების წევრთა წლიური კრება. განსახილველათ კრებაზე დანიშნულია შემდეგი საქმეები: 1) დამტკიცება გასული წლის ანგარიშებისა; 2) განხილვა მომავალი წლის ანგარიშებისა და 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

✦ 3 მაისს საოლქო სასამართლომ გაარჩია ანტონ კალანდარაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ქუთაისში ცნობილი ებრაელი ვაჭრის ისაკ ელიგულარი, სრულიად მივენდე ჩემს მუზას და ვხატავდი. ჩემს გარშემო აღარას ვხედავდი, აღარას ვამჩნევდი, გარდა ჩემს გონებაში დასახულ იდეისა. ზოგჯერ გახურებულ შუბლზე ერატას ცივ ხელს თუ ვიგრძნობდი... ეს იყო ჩემი დამამშვიდებელი, დაღლილობის გამქარწყლებელი ჩვეულება.

მახსოვს ერთბაშათ შემოიჭრა სახელოსნოში ერატა და აღტაცებული დაიძახა: „ლადო, შენს „ერატას“ გამოფენაზე პირველი ხარისხის ჯილდო მიუღია!“

მეტი აღარაფერი მაგონდება.

როცა გონს მოვედი, საწოლში ვიწექ და თავზე ექიმი მადგა.

IX.

„მაგრამ სიხარულს ნაღველიც თან სდევს!“

საუბედუროთ და სამწუხაროთ! სთქვა დიდებულმა მგოსანმა და მისი გენიოსური სიტყვები სწორედ ჩემზე გამართლდა. ჩემმა ბედნიერებამაც დიდხანს ვერ გასტანა.

გონს მოვედი თუ არა, თვალებში რაღაც ბლონდი ვიგრძენ. მივმართე ექიმს, გამომიწერა წამლები, მაგრამ რაც დრო მიდიოდა, უარესობას გვრძნობდი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდი. გავყიდე ყველაფერი „ერატას“ ფასიც მივიღე და მე და ერატა წავედით საზღვარ გარედ, მაგრამ...

ეს იყო უკანასკნელი ჩემი გამოხედვა. იქ სულ დავბრმავდი.

ლადო დიდხანს სტიროდა. მეც სანუგეშო სიტყვები ვერ მეპოვნა. ან რა ნუგეში შეიძლებოდა?!

— ასე კი დამთავრდა ჩემი ბედნიერი მოღვაწეობა, ჩემო ბეგობარო!.. განაგრძო ლადომ როცა დამშვიდდა. მოვკვდი ცოცხლად! მარტო ფიქრი იმაზე, რომ რაღაცა ვიყავ და ეხლა აღარაფერი ვარ —გულს მიკლავს და სასოწარკვეთილებაში მაგდებს.

ელენემ, გაიგო თუ არა ჩემი უბედურება, შეურიგდა ყველაფერს და ჩემთან დაბრუნდა.

ორთავეს ჩემი უბედურება აერთებს და აღარ ჩხუბობენ.

მაგრამ ერატას ტანჯვა ნამდვილი ჯოჯოხეთი გამიხდა.

ყოველ დილით შედის სახელოსნოში, საცა დარჩა მხოლოდ ზოგიერთი ესკიზები, მოლბერტი და რამდენიმე ყულაბი, დადის იბლათ, უალერსებს ოხრად დარჩენილ ამ საგნებს, ჰკოცნის და უნუგეშოთ აფრქვევს ცრემლებს. მერე მოდის ჩემთან, მკოცნის ხელზე და ყელში ცრემლებ მობჯენილი, გულსაკლავათ მხოლოდ ორ სიტყვას გაიძახის: „შენი თვალები! შენი თვალები!“ გახდა. ცრემლად დადნა.

ელენე იმდენათ არ იტანჯებოდა. იგი მხოლოდ სწუხს და კმაყოფილია იმითი, რომ ცოცხალი ვარ.

უნდა გითხრა, რომ როცა საზღვარ გარედ წავედი საექიმოთ, ელენე თურმე ამ ბინაზე გადმოვიდა და ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც იყო. ასე რომ, როცა დავბრუნდი, ელენე მახლობელ ქალაქში შემხვდა, შემირიგდა, ბევრი იტირა და მთხოვა, ამავ ბინაზე დავმდგარიყავ. მეც უარი ვერ უთხარი. დავბინავდით აქ. საბნივე. ეს ბინა მით უფრო ძვიფასი იყო ჩემთვის, რომ აქ ვიგრძენ შემოქმედების პირველი ძალა და სხივი.

ვცხოვრობთ, მაგრამ არც ერთი ნათელი სხივი ცხოვრებისა არა სჩანს მომავალში. ელენეს რაღაც სასწაული სწამს... სწამს, რომ მოვრჩები. ერატა კი გრძნობს ჩემს დასასრულს და მუდამ ღღე სტირის.

ეს არის მეგობარო სრული ჩემი თავგადასავალი და წრფელი აღსარება. ეს არის ის „ბურუსით მოცული საიდუმლოება„, რომელზედაც ბრბო ეგრე პირზე ცინიკურის ღიმილით მსჯელობს და ათასგვარ ჭუჭყსა და ტალახს ისვრის ხოლმე ჩემკენ. მაგრამ განა ეს ბრბო რჩეულთა სულის კვეთებას ოდე მე ვიგებს? მაშრის ბრბო იქნება, თუ მათ სპეტაკ სულს თვისი ტალახი არ ესროლა?!

✦ სოფელ კვალითიდან (შორ. მაზ.) გვწერენ, აპრილის სიცივეებმა ვენახი სრულიად გაანადგურა, [illegible] ტი მოსწვა და ძირს [illegible] მცხოვრებთათვის ღვ[illegible] წყაროა ცხოვრებისა და ამ გარემოებით მშრომელი გლეხები დიდათ დალონებული არიან. არ იციან მომავალ წელს თავი რით გამოიკვებონ.

✦ 23 აპრილს დ. ლანჩხუთში დრ. სექციამ გამართა აკაკის საღამო. საღამო ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში წაიკითხეს ლექსები; მომღერალთა ერთმა გუნდმა იმღერა აკაკის ლექსი „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და მეორე გუნდმა იმღერა გურული სიმღერები. ბოლოს ბ. ელენტმა წარმოსთქვა სიტყვა და გააცნო აკაკის მოღვაწეობა დამსწრე საზოგადოებას. მეორე განყოფილებაში წარმოადგინეს მეორე მოქმედება აკაკის „პატარა კახიდან“ და „ბუტიაობა“. საღამომ კარგათ ჩაიარა, ხალხი საკმაოთ დაესწრო და ნასიამოვნები დაშალა.

თფილისი.

— **დეპუტატი აკაკი ჩხენკელი პეტროგრადიდან თფილისში ჩამოვიდა.**

— **წესიერი დასვენება.** 3 მაისს თფ. წვრილ სახელოსნოების შუშათა რწმუნებულების კრება მოხდა მერეულ კომისიის 10 წევრის ასარჩევად. არჩეულ იქმნენ: ნერსეს ბაბაევი, გიორგი გოზალაშვილი, სუმბათ ხოჯაევი, ნიკოლოზ კაპანაძე, ივანე კოლესნიკოვი, ვანო ჩიტიაშვილი, გიორგი ტაბუშვილი, პლატონ ჭოხონელიძე და არუთინ თათუზოვი. არჩევნების შემდეგ კრებამ არჩეულ პირებს დირექტივები მისცა. ამ რიგად შერეულ კომისიის წევრთა არჩევნები დასრულებულია. სახელოსნო დაწესებულებათა მეპატრონეების მხრით წევრებად არჩეულ არიან: შერემეტიევი, აგამოვი, ევაშჩენკო, ბერძენიშვილი, მაჩხანელი, საკაძე, ლიბერმანი, საგანელი, პუშკავოი და კამარიონი. ქალაქის საბჭოს მხრით არჩეულნი არიან შემდეგი ხმოსნები: ყორღანოვი, ბაბოვი, მარტირუსოვი, მინეევი, არუთინოვი, ქობულაშვილი, გოთუა, უტეშოვი, სოსინი და გ. ი. ხატისოვი.

— **საშუალო სასწავლებელში კურსდამთავრებულთა საყურადღებოდ.** ასეთი პირნი მოვალენი არიან, მიეწერონ რომელიმე სამხედრო ნაწილს. შელავათიან წოდების შვილები პოლიცმეისტრის სამმართველოში უნდა მივიდნენ, ხოლო დანარჩენები—ქალაქის სამხედრო საკრებულოში.

და ვსტიროდით... არცაკი ვიცოდი—ეს ცრემლები ბედნიერებისა იყო, თუ მწუხარებისა. ტირილით გული ვიჯერეთ, მაგრამ მაინც ვსდუმდით და ერთმანეთს თვალებში მივჩერებოდით. დიდი ხანი გავიდა ასე. ბოლოს სიჩუმე ისევ მე დავარღვიე.

— ერატა, რა ვქნა?

ერატამ შეშინებულის თვალებით შემომხედა მაგრამ დავამშვიდე:

— ელენე წავიდა... წავიდა სამუდამოთ... ის აღარ დაბრუნდება...

— მერე რათა? რათ ჩაიდინე ესა? საბრალოს, რა რიგ უყვარდი!..

ცრემლები ყელში მოაწვა, თავი გულზე მომაყრდნო და აქვითინდა.

დიდი ხნის ცდის შემდეგ ძლივს დავამშვიდე.

— აბა? დავეკითხე მე.

— მეცოდება საბრალო ქალი... მრცხვენიან იმისი... არ შემიძლია!..

— გეფიცები, ერატა, თავს მოვიკლავ!

— არა! წამოიძახა შეშინებულმა. ოღონ შენ იცოცხლე და თანახმა ვარ!..

მეორე ღღეს დანიშნულ დროზე მოვიდა და განვაგრძეთ მუშაობა.

—

ასე, ამგვარად დავიწყე ახალი ცხოვრება. ვმუშაობდი განუწყვეტლივ, ვქმნიდი დაუღალავად. თითქმის მუდამ ღღე ახალ-ახალი იდეები მებადებოდა!

დავასრულე ერატას სურათი. იგი საუცხოვო გამოვიდა, მაგრამ არავისათვის არ მიჩვენებია. საიდუმლოთ მქონდა შენახული და ყოველ დილით, მუშაობის დაწყების წინ მე და ერატა მივდიოდით, გადავწევდით ფარდას და დიდხანს შევცქეროდით. მერმე შევუდგებოდით მუშაობას.

ერატა ყოველ დილით მოდიოდა ჩემთან და გვერდიდან არა მშორდებოდა, ყალმებს მისუფთავებდა, საღებავებს მიმზადებდა; ერთი სიტყვით, ისე შეისწავლა ჩემი ხასიათი, რომ წინდაწინვე იცოდა რა იყო ჩემთვის საჭირო.

—

ელენე წავიდა, მაგრამ თავის გულში მეც თან წამიყვანა; მომშორდა, მაგრამ ჩემზე ფიქრი და ზრუნვა თან წაიყოლა.

ყოველდილით, გავაღებდი თუ არა კარს

დერეფანში სანოვაგით სავსე კალათი დამხვდებოდა. კალათში ყველაფერი იყო, რაც მე მიყვარდა. სასმელ-საჭმელის გარდა, ფული, თეთრეული, ცხვირსახოცები, ყელსახვევები და სხვა რაცაკი იცოდა მე მომეწონებოდა.

ჩემში დარჩენილი ელენესადმი პატივისცემა და სიბრალული უფრო გაიზარდა, გაზვიადდა. იქამდის მიმიყვანა, რომ მზა ვიყავ მის წინაშე ბოდიში მომეხადნა, მეთხოვნა, შერიგებოდა თავის ბედს და ჩვენ შორის კეთილი განწყობილება, მეგობრობა მაინც დარჩენილიყო, მაგრამ გავიგე, რომ ერატას ცუდათ იხსენიებდა, ლანძღავდა. თითქმის ზნედაცემულ ქალს ეძახდა... ლანძღავდა და აგინებდა ერატას მშობლებს, მის მეგობრებს, მშობლებს მიუვარდა და გაუმეღავნა ყველაფერი. ამაზე დიდი აურ-ზაური ატყდა, მაგრამ ერატას სიყვარულმა ყველაფერს სძლია. რამდენჯერ მოცქუღლების პირით, თუ მე თითონ ვსთხოვე, თავი დაენებებია, ბოლოს დავემუქრე კიდეც, მაგრამ მაზე ვერაფერმა ვერ გასჭრა. იქამდის მიმიყვანა, რომ ჩემში ელენესადმი პატივის ცემა გაჰქრა და სიბრალული ზიზღმა შესცვალა. სრულიად ამოვირეცხე გულიდან და დავივიწყე კიდეც. მაცხოვლებდა ჩემი ნაყოფიერი მუშაობა ერატას სიყვარულით შთაგონებული.

თუმცა ჩემი ბედნიერება ცოტათი გაბზარული იყო ელენეს ტანჯვით,—მაინც მთელი ერთი წლის განმავლობაში ბედნიერი ვიყავ...

—

გამოცხადდა მხატვრობის ნაწარმოებთა საკონკურსო გამოფენა.

ერატამ მირჩია მისი სურათი გამეგზავნა.

დიდხანს ვყოყმანობდი, ვერ გამებედნა მრცხვენოდა. ბოლოს ერატას დაჯინებულმა თხოვნამ დამძლია და ჩემი „ერატა“ დავკოცნე, გამოვეთხოვე, შევახვიე სასოებით და გავგზავნე გამოფენაზე.

ერთ ღღეს ჩვეულებრივზე უფრო გამიტაცა მუშაობამ. დამავიწყდა ყველაფერი,

ადგილი ამოღებულია

ადგილი ამოღებულია

ადგილი ამოღებულია

— 4 მაისს საეპარქიო სასწავლებელში მოხდა აქტი მოსწავლე ქალთაგან კურსის დასრულებისა გამო. დაესწრნენ საქართველოს ეგსარხოსი პიტირიმი, ხელმწიფის მოადგილის მეუღლე, ეპ. ლეონტი და სასწავლებლის უფროსნი. ეგსარხოსმა მშვენიერის სიტყვით მიმართა სწავლა დამთავრებულთ, უსურვა მომავალ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში თვალწინ იყოლიონ და ჰბაძონ ყოველად წმიდა ღვთის მშობელს, რომლის წილხვდომილია საქართველო, წმიდა ნინოს, ქართველთა განმანათლებელს, წმ. თამარ მეფეს და დედოფალს ქეთევან წამებულს. შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა სასწავლებლის ინსპექტორმა მ. კეკელიძემაც. დასასრულ მოწაფეთ დაურიგეს საჩუქრად სახარება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სახარების წიგნები ძველები იყო, ახლები ვერ ვიშოვნეთო, თავს მართლულობდენ გამგენი—მ. მ. ჯიოევი და კეკელიძე. თუ სლავურ ენაზე დაბეჭდილი სახარება არ იშოვება თფილისში გასაყიდათ, ქართული ხომ ბევრია. უფრო შესაფერისი არ იქნებოდა ქაროველ მოწაფეთ, რომელთაც სლავური ენა არც-კი უსწავლიათ სასწავლებელში, სახსოვრად სასწავლებლისაგან დარიგებოდა სახარება ქართული? ალბათ ფიქრად არ [მოუვიდათ სასწავლებლის მესვეურთ, რომ შესაძლებელი იყო ქართულ სახარების დარიგება ქართველ მოწაფეთათვის.

— **დახმარება აჭარლებს.** თ დმა ფალავანდიშვილებმა, რომელიც ს. კნოლესა (გორის მაზრა) და მის მახლობლად მდებარე სოფლებში მოსახლეობენ, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას განუცხადეს, რომ ისინი მზად არიან, ბინა მისცენ და შეინახონ 20 ოჯახი აჭარლებისა.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲘᲐ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 3 მაისს განზრახულ სეირნობისათვის შემოსწირეს:

დავით ქებაძემ—10 გირვანქა შაქარი, 1 დუჟინი წუმწუმა და კონვერტები; დავით ყუფარაძემ და მისმა ძმამ—6 რწყვილი დანა-ჩანგალი და 1 პატარა ალიუმინის ქვაბი; ჰავჰანიძემ, გვარჯალაძემ და კასუმოვმა—3 საბლუზე კისაიის ჩითი, 5 არშინი პირკალი და 8 არშინი კუმაჩი; ა. კაზაროვმა 1 ფეხის საწმენდი; ძმ. ჰავჰანიძეებმა—საპონი, წვრილი შუშა დუხები, წვრილი მაკრატლები, ცხვირსახოცები, შპილკები და აბრეშუმის ყაჭის თავსაფარი და სავარცხლები.

იოსებ გვეტაძემ—ერთი ქალის ბრასლეტიანი საათი, ძმ. ექსანოვებმა—ერთი უთო, ერთი ჩაინიკი, ერთი ჩოთქი, ერთი დიდი დანა, ერთი დიდი ნაკრატელი, ერთი ზარა, 1 ბოქლომი, 1 პროპოშნიკი, 1 ბარი და 1 სასპირტე; ლეონ ბერუჩოვმა—1 პატარა ლამპა, რაფიელ რიჟინაშვილმა—1 საბლუზე, 1 საკაბე ჩითი და 7 არშინი მიტკალი; იაკობ მოშას ძე ციციაშვილმა—1 საბლუზე და 1 საკაბე ჩითი. ძმ. ფილიპოვებმა—1 ჩაინიკი, 1 ზარა, 2 ბოქლომი, ოგანეზ კარაუზოვმა—2 სალამური და კანფეტი; ედუარდ და პეტრე საკოვებმა—1 ქვაბი და 1 საყავე ლურსმანი და ბაწარი; ილია ვარდანეიშვილმა—2 კოლოფი ფეხის საწმენდი მაზი; სერგეი ალიხანოვმა—2 კალათი; ლევანტი აბაშიძემ—10 ლიბარათი; ვლადიმერ ზვიადაძემ—2 კოლოფი ლაფჩინის საწმენდი მაზი და ზონარი 1 რწყვილი; იოსებ სერვიგმა—1 შუშა ოდეკოლონი; ივანე გოკიელოვმა—ლითონის კოლოფში კარანდაში, ჯაყვა და კალმის ტარი; პავლე გასპაროვმა—რიზინის ბურთი, დუხი და საფშვიტინო.

(დასასრული იქნება).

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

დიდებული წუთები განვიცადე თამარის დღესასწაულზე დიდების ეკლესიაში დასწრებით.

საღამოთი ღვთის მსახურება შეასრულა ეპ. ანტონიმ მრავალი ხალხის თანადასწრებით. დაიწყო ცისკარი, შუა ეკლესიაში გამოასვენეს მშვენიერი, დიდებული ძვირფასათ მოჭედილი (კი დიდი ზომისაც) ხატი წმ. მეფე თამარისა; ამ ხატმა ხალხის ცქერა დაატყვევა. ეს ხატი შეწირულია გ. ქართველიშვილისაგან. ხატის წინ გაისმა ძველდელ მსახურთა გალობა: გადიდებთ შენ ნეტარო ქართველთა მნათობო მეფე თამარი!... ყველას გულს ტკბილი ეჩნეოდათ, თვალები ცრემლით დაუნამიანდათ.

მეორე დღეს წირვა შეასრულა ეპსარხმა და ორმა ეპისკოპოზმა; ანტონიმ გორისამ და ლეონტიმ ერევნისამ. აუარებელი ხალხი დაესწრო. ჩემს სიცოცხლეში მომსწრე არ ვარ ასე დიდებულათ მშვენიერი ქართული გალობით მთელი წირვის და ლოცვის შესრულებას. სადამდის მიგვიყვანა გარემოებამ: რა გვაკირვებს!? არც ერთი სიტყვა უცხო ენაზე არ წარმოთქმულა: ეპსარხოსი, რუსი ეპისკოპოზი, რეკტორი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და საუცხოოთ წარმოსთქვამდენ ლოცვებს. კარგი ქართული მომღერალთა გუნდი გალობდა ადგილობრივი დიაკონის კ. ჩუტკერაშვილის ხელმძღვანელობით. წირვის შემდეგ ლიტანიით შემოუარეთ ეკლესიას, ზღვა ხალხი იყო გარშემო: მგალობელნი გალობდნენ თამარის ტროპარს და სხვადასხვა საგალობელთ. მეც პროცესიაში მონაწილეობას ვიღებდი დიდებული თამარის ხატს ცალმხრით მე ვეწეოდი. კიდევ ვიმეორებ იშვიათია ასეთი ქართული შეკრებულობა. თვითონ ეგსარხი მეტათ მშვენივრათ წარმოსთქვამდა და კითხულობდა. წირვის შემდეგ დაარიგეს დაბეჭდილი ქადაგება ეპ. ლეონიდისა. დიდების მოძღვრის სადგომამდის,—სადაც მიწვეული იყო ეგსარხოსი თანამხლებლებით, გენერალი ყაზბეგი, პრესის და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: გოთუა, ჟურული, ყანჩელი და სხვანი,—გალობით მოდიოდა გუნდი, კარებთან უგალობეს „თამარის დროშა გაშალეს“. ეგსარხოსი გაჩერდა და სიამოვნებით უსმენდა. დიდძალი ხალხი იყო მიჩერებული. ყველას გამოუთქმელი სიხარული და სიამოვნება ეტყობოდა. ყველაზე გასაოცარი იყო ქართული გალობა.

მთელი ის ნაწილი მიწისა, საითაც არიან ჩვენი დიდებულნი დასაფლავებულნი,—იაკობი, არჩილი და სხვანი,—ზომით 100 საჟენი წერა-კითხ. საზოგადოებას შეუძენია 5000 მან. ქართველ მწერალთა სასაფლაოთ. ასე დიდებულათ ჩაიარა თამარის დღესასწაულმა თფილისში და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ყველა დამსწრეზე.

ერთი დამსწრეთაგანი.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

კოოპერაცია ჩვენში ახალი საქმე არ არის, მას 40—50 წლის არსებობის ისტორია აქვს და თითქმის იმ ხნისაა, რა ხნისაც ფინლანდიის კოოპერაცია. მიუხედავად მისი ასეთი ხანგრძლივი არსებობისა, ის მაინც ვერ განვითარებულა იმდენათ, რამდენადაც თუნდა რუსეთშია განვითარებული.

რუსეთში კოოპერაცია დიდს ეკონომიურ ძალას წარმოადგენს და ხალხს დიდ დახმარებასაც უწევს. მართალია, რუსეთი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ჩამორჩენილია კოოპერაციის განვითარებაში, მაგრამ არც ის ითქმის, რომ აქ კოოპერაცია განუვითარებელი იყოს. მან განვითარების პირველ საფეხურს თავი დააღწია და დაქსელა რა სოფლები კოოპერაციებით, საგრძნობი ეკონომიური ძალა გახდა.

1913 წლის 1 იანვრამდი ა. მერკულოვის ცნობით რუსეთში არსებულ კოოპერაციების რიცხვი 35 ათასი იყო, ამათში 14350 საკრედიტო საზოგადოებაა, 10,900 მომხმარებელი საზოგადოება, 5000 სასოფლო სამეურნეო, 1650 სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა, 2700 ერობის დამამუშავებელი არტელი და სხვა მრავალი მწარმოებელი ამხანაგობა. თქვენ წარმოიდგინეთ 1914 წელს, ამ უმაგალითო ომიანობის წელსაც, კი დაუმტკიცებიათ 3000 კოოპერაციის გახსნის შუამდგომლობა.

კოოპერაციების ეს რიცხვი, იმდენათ დიდია რომ, თუ ასე პროგრესიულათ იზარდა, 2—3 წლის შემდეგ რუსეთი კოოპერაციების მხრით გერმანიას გაუთანაწორდება, თუმცა გაუთანასწორდება რიცხვით და არა ღირსებით და ამ კოოპერაციებისგან მოტანილი სარგებლებით. რაც შეეხება წევრთა რიცხვს ამ მხრით რუსეთს პირველი ადგილი უჭირავს დღესაც, ვინაიდან იმდენი წევრი კოოპერაციებში, რამდენი რუსეთშია არსად არ ერის. ასეთი სიმრავლე წევრებისა იხსნება იმ გარემოებით, რომ რუსეთი ვრცელი უზარმაზარი მხარეა და ხალხიც ურიცხვი სცხოვრობს მის ტერიტორიაზე. რუსეთში ჯერ მარტო საკრედიტო კოოპერაციებს 9 მილიონი წევრი ყავს და ამას თუ მიუმატებთ სხვა კოოპერაციების წევრთა რიცხვსაც, მაშინ სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ 12 მილიონი წევრი იქნება.

კოოპერატიული დაწესებულებებით იქსელება მიყრუებული კუთხეებიც კი და იქაც კი იკიდებს ფეხს ეს სასარგებლო საქმე, სადაც მასის განვითარება მეტად დაბალ დონეზეა. აარსებენ კოოპერაციებს თეთრი ზღვის ნაპირზე, ამ ახლათ დასახლებულ ხხარეში და აარსებენ იაკუტისა, ნარიმისა და სხვა მიყრუებულ კუთხეებშიაც კი.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, რუსეთი კოოპერაციის საქმეში დასავლეთ სახელმწიფოებს ჩამორჩენილია და წევრთა რიცხვი, თუ სახელმწიფოში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით ავიღებთ, მაშინ რუსეთს პირველი კი არა მეხუთე—მეექვსე ადგილიც კი არ ეკავება. მიუხედავად ამისა, კოოპერაცია რუსეთში მაინც დიდი ეკონომიური ძალაა და მითი უდგია სული ბევრს კულტურულ დაწესებულებასა და საკულტურო საქმეს.

კოოპერატიული კურსები, კოოპერატიული სახლები, კოოპერაციებისაგან სკოლებისა და სამკითხველოების სუბსიდიების მიცემა, სახალხო კითხვების მოწყობა ბუნდოვანი სურათებით, მიწის დამუშავება კოოპერატიულ ნიადაგზე, ხალხისათვის საავრონომი სამეურნეო ცოდნის მიწოდება, აგრონომებით მიშველება და სხვა მრავალი ასეთი საქმე რუსეთში ძალიან ხშირია. ერთი სიტყვით აქ კოოპერაცია ცხოვრების ყოველმხარეს შესწდა, ყველგან შეიჭრა და ახალი სიო შეიტანა, ცხოვრებაში ის ცოცხალი მოძრავი ძალა გახდა და ერობამ სოფლის აღორძინების საქმეში იარაღად გამოიყენა.

ახლა კერძოთ ჩვენს ქვეყანას დავუბრუნდეთ, სადაც სურათი სულ სხვანაირია და, სადაც კოოპერაცია სხვა ქვეყნების კოოპერაციას არა გავს. კოოპერაციების რიცხვით მაინცა და მაინც არც მთლად ღარიბი ვართ და რაც თავიდან დაარსდა, რომ მასაც ებოგინებია და სული არ განეტევა, კიდევ უფრო მდიდარი ვიქნებოდით, თუმცა ღირსებით ჩვენი კოოპერაციები რუსეთის კოოპერაციებსაც კი ჩამორჩება. ჩვენში ძალიან იშვიათია ისეთი კოოპერაცია, რომელსაც კულტურულ საქმეში საგრძნობი წვლილი შეეტანოს. რაც შეეხება საკუთარ სახლების აგებას, სკოლების გახსნას, სახალხო კითხვების მოწყობას, ხალხისათვის საგრძნობ დახმარებას და სხვას ასეთი ჩვენში არაფერია. აქ კოოპერაცია იმით კმაყოფილდება, რომ წლის ბოლოს კრებას მოიწვევს და დივიდენდის სახით ექვსი აბაზი იქმნება თუ ორი მანეთი დაურიგებს წევრებს.

ამ კოოპერაციებისგან მოტანილი სარგებლობაც ვერ არის კარგი ღირსების, ვინაიდან ხშირათ კოოპერაციებით სარგებლობენ (მხედველობაში მაქვს საკრედიტო საზოგადოებები) ჩარჩები და იქიდან გამოტანილ ფულს საჩარჩო საქმეში ბანდავენ. კოოპერატიულ მოძრაობას ჩვენში ხალხური, მასიური მოძრაობის სახე არ მიუღია და მასში მასა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ცოტაა. სწორედ ეს არის მისი უბედურებისა და ერთ წერტილზე გაყინვის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი.

სხვა მიზეზთა შორის აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღესვინც კოოპერაციას სათავეში უდგია ნაკლებ საქმიანობას იჩენს.

ჩემის აზრით, ამ საქმის ერთად ერთი ხსნა მასაზეა დამოკიდებული. ჩვენში მასა ვერ არის შესაფერისად გათვითცნობიერებული და ვერ დაპატრონებია მას, რაც მის ხელთ უნდა იყოს. თუ გვინდა საკოოპერაციო საქმის აყვავება, უნდა ვეცადოთ ხალხს თვალი აუხილოთ, ხალხში თვითმოქმედება შევიტანოთ და მეტ მშრომელ ხალხს დღეს მივაღებიოთ მონაწილეობა მასში. ხალხის გულშემატკივრებმა და კოოპერაციის განვითარების მსურველებმა უნდა მიიღოს ეს მხედველობაში და მთელი თავისი ძალა აქეთკენ უნდა მომართონ.

ომმა ხალხის თვალის ახელვის პროცესსი ძალიან დააჩქარა, ნიადაგიც უკვე მომწიფებულია და დაყოვნება არ ვარგა, საქმეს აზარალებს. ამ მხრით ლანჩხუთმა პირველმა გადასდგა ნაბიჯი და ეჭვი არაა, მას სხვა დაბა-სოფლებიც მოყვებიან. კიდეც შეუდგენ კოოპერაციების დაარსებას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენშიც ეს დაწესებულება შესამჩნევი ეკონომიური ძალა იქნება ხალხის საკეთილდღეოთ.

გ. ხონელი.

ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗ. ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲞᲐᲪᲘᲒᲘ.

2 მაისს ხოიდან (სპარსეთშია) ჩამოიყვანეს და თფილისის განმანაწილებელ საავათმყოფოში მოათავსეს ასამდი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი. (უმეტესი დაჭრილი) ამათში ქართველები არიან: ქუთაისის გუბერნიიდან იასონ სოკრატის ძე, გველესიანი, ს. შროშა, შორაპნის მაზრა, (მარცხენა კოჭი აქვს ნაღრძობი).

თფილისის გუბერნიიდან: ლექსო ფერაძე, გორის მაზრა, ს. ხვენისა, (მარჯ. ფეხი აქვს დასივებ). მახარაშვილი ნიკოლა ეფრემის ძე, დუშეთის მაზრა, სოფ. ჯიღაური (მარცხენა ფეხშია დაჭრ.).

ქუთაისის გუბერნ.: ჭანტურია გაბრიელ ივანეს ძე, ზუგდიდიდან (ავად არის).

იმავე მატარებლით ჩამოიყვანეს და იქვე მოათავსეს ოთხმოცდა თერთმეტი ტყვე (ასკერი) და ქალაქში გააგზავნეს საავადმყოფოში ორი ტყვე ოფიცერი. ტყვეები სულ ოსმალოებია და უმეტესი ნაწილი დაჭრილია, ზოგი მძიმეთაც.

შ. ჟორდანია.

ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲔᲚᲘ.

დ. ბაღდადი. ბაღდადისთ წიგნ-სტავ-სამკითხველოს საქმე ძლიერ ცუდ მდგომარეობაშიდ არის და სწორეთ, რომ დიდი სირცხვილია ბაღდადელებისთვის, ტოტალი თუ მაინც გვესმის მისი და მგზავსი კულტურული და წესებულების მნიშვნელობა და სარგებლობა ეოვლდთვის და ეოვლნაირთ ხელს არ უწყობდეთ მის არსებობას და კეთილდღეობას. წევრთა უმეტესობა საწევრო თვულს არ იხდის, უმცირესობას კი თავის დროზე არ შეაქვს და ასე ამ რიგად სამკითხველოდ უსახსრობის გამო სულს დაუფავს. მოკლე დროში კი, შესაძლებელია, მთლათ გამოესალმოს წუთისოფელს, რითაც, რასაკვირველია, ბაღდადის მცხოვრებლების უმეტესობას ესმობა საშუალება გაიგოს თუ რა ხდება მის გარშემო, უცხო ქვეყნებში, ან თუ როგორ მიმდინარეობს ომის საქმეები და სხვა ათასი ისეთი რამ, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ზნეობის ასამაღლებლათ და აზროვნების გასავითარებლათ.

დიდი მადლობის ღირსი არიან გამგეობის თავჯდომარე ბ ნი ევსევი გვანცელაძე, ქ ნი ნინო ნადარაძის ასული და ბ-ნი ერმილე დვალიშვილი, რომლებიც თავის შრომასა და უნარს არ ზოგავენ სამკითხველოს არსებობისთვის; მათივე თხოვნითა და მეცადინეობით ბაღდადის ნამოიუმა ბოქაულმა ბ. ს შენგელიამ დაადგენია ვაჭრების განაჩენი, რომლის ძალითაც ვალდებული იყვენ ეძლიათ სამკითხველოსთვის ბაღდადის ეაუნის მესამედი შემოსავალი, რაც 150 მანეთს უდრიდა. ამით დაიმედებულმა ადგილობრივმა საკრედიტო ამხანაგობამ წლიური ანგარიშის დროს სამკითხველოს არავითარი დახმარება არ ეღმოუჩინა, წევრების ხომ მთლათ [illegible] ვალდება—შეეტანათ სწორედ [illegible] შენგელიას შემდეგ ბოქაულათ ბაღდადში დაგვინიშნეს თ-დი ი. წულუკიძე, მეტათ კეთილი და პატიოსანი ადამიანი; ამას წინათ მიემართეთ, რომ მოეკვანა განაჩენი სისრულეში, მაგრამ, როგორც გაგვიმარტა ბ. ბოქაულმა, ბაზარს უფლება არ აქვს განაჩენის დადგენის, ვინაიდან სხვადასხვა წოდებიდან შესდგებაო და ამნაირათ განაჩენის სისრულეში მოყვანა შეუძლებელიაო.—აქაც ტეხლზე წყალი დასვენსა.—ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. ბოქაული სხვაგვარ მოაგვარებს ამ საქმეს და სამკითხველოს არ დაუკარგავს ამ შემოსავლის წყაროს. ეს კი, ჩემის აზრით, ადვილი მოსახერხებელია, რადგანაც ბაზარიც და ეაუნიც ადგილობრივ მკვიდრთა მიწა-წყალზეა გაშენებული და სოფელს იმის უფლება უნდა ჰქონდეს, რომ სოფლის მიერ დადგენილ განაჩენის ძალით, ვაჭრებმა გადაიხადონ ეაუნის ფულიდან მესამედი სამკითხველოს სასარგებლოთ, რომელიც სოფლის ზნეობრივს და გონებრივ განვითარებას ემსახურება.

ა. ფურცელაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გადოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც კეთილინებენ და ბახვის უფასო წიგნ. სტავ-სამკითხველოს დახმარება აღმოუჩინეს: ფულით, წიგნებით, თუ გაზეთებით. ეი სია შემომწირველთა: 1, ბესარიონ მგელაძემ 3 მან. და გაზეთი „სასოფლო ფურცელი“ ერთი წლით. 2, შალვა ცინცაძემ 1 მ. და 10 შ. 3, იოსებ მოისრაფელიშვილმა 1 მ. 4, ივანე ქურთოშვილმა 1 მ. 5, ი. გოფოძემ 1 მ. 6, ს. ბოჭორიშვილმა 1 მ. 7, დავით ხაჭაპურიძემ 1 მ. 8, სერგო ჭელიძემ 1 მ. 9, დეფფერცხალავამ და ნ. ბარაშენიძემ 1 მ., 10, ბესარიონ ტეტხლაძემ 1 მ. 11, ძმ. წულაძეებმა 1 მ. 12, შალვა ჩხაიძემ 50 კ. 13, ილ. ზაქარია ცინცაძემ 10 შ. 14, X-მა 56 კ. 15, ბიქტორ კვაჭანტირაძემ 6 შ. 16, ესტატე კოხრეიძემ 1 ს. 17, ვარლამ დოლიძემ 1 ს. 18, დიდი ბარკაიამ 1 ს. 19, კონსტანტინე სალუქვაძემ 4 წიგნი 20, ვერა ჭანტურაიამ 2 წიგ. 21, გრიშა ბატარაიამ 4 წიგ., 22, ვასო მ. და იაგორ ერ. ჭელიძეებმა თითო გაზეთი „სამშობლო“ თითო წლით. 23, ტიტიკო ივ. ანთაძემ ჟურნალი „ახალი მთარსი“ ერთი წლით. სულ ფული 16 მ. და 16 კ.

სამკითხველოს გამგეობის თავჯდომარე **ამბაკო მგელაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**



გაყიდულია ორ მილიონ ბანკაზე მეტი.

ახალგაზდობასა და სილამაზეს გვრის

ᲙᲐᲚᲪᲘᲡ ᲣᲞᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲮᲔᲚ.

ᲞᲠᲔᲛᲘ ᲙᲐᲖᲘᲛᲘ ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲐ

—ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲭᲝᲠᲤᲚᲘ,—

ფერმკრთალს, სახის ნაოჭებს, მზისაგან დამწვარს და უოველგვარ სახის ნაკლულოვნებას.

Თ. ᲛᲗᲐᲕᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲐᲛ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ Ც. 20 Კ. Გ. ᲛᲐᲭᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ᲙᲐᲖᲛᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲐ: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. **თ. მ.**

ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲨᲘ

ᲗᲘᲗᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲯᲐᲯᲣ ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲐᲡᲘ.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐ�პ. Წ.